ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N11

16 მაისი 2025 წ.

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის №-2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23-იანვრის № -2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 010250020.35.115.01642 24/01/2025 წ.) დამტკიცებულ დანართ №-1-ში შემდეგი სახით.

1.დანართის მე-5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. დაბადებიდან შ.შ.მ. პირებზე და 0-18 წლამდე ასაკის რეაბილიტაცია/აბლიტაციის საჭიროების მქონე ბავშვთა ფინანსური დახმარება;

1. დახმარება მიეცემათ ბავშვობიდან შ.შ.პ.-ს , რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და დაავადებული არიან:

ა) ცერებრალური დამბლა;

ბ) დაუნის სინდრომი;

გ) ლეიკემია;

დ) ყრუ-მუნჯი;

ე) შაქრიანი დიაბეტი I ტიპი;

ვ) სრული სიბრმავე;

ზ) ეპილეფსია.

დახმარება გაიცემა 18-წლამდე ყოველთვიურად 100 (ასი)ლარის ოდენობით. 80(ოთხმოცი)ლარის ოდენობით, იმ ბენეფიციარზე რომელიც ვერ გადაადგილდება და სარგებლობს ეტლით, ხოლო დანარჩენ ბენეფიციარებზე დახმარება გაიცემა 60 (სამოცი) ლარის ოდენობით.

თანხა გაიცეს 2024 წ - დან არსებული ბაზის საფუძველზე და ახალი ბენეფიციარის გამოვლენის შემთხვევაში დახმარების მიმღებმა პირმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განაცხადი მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის პირადობის ასლი ან დაბადების მოწმობის ასლი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ამონაწერი სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან);

დ) ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გაზდელიანი**